№ 113. 16 ივნისი, ხუთშაბათი. 1866—1883 16 ივნისი, ხუთშაბათი. № 113.

რედაქცია

გოლოვინის პროსპექტზე თავ. მუხრან-ბატონის სახლებში კლუბის ქვემოდ.

ხელის-მოწერა

მიიღება თბილისში «დროების» რედაქციაში, ქუთაისში: ჭილაძეების წიგნის მაღაზიაში. გარეშე მცხოვრებთა ადრესი: Въ Тифлисъ, въ редакцію «Дроэба»

«დროების» ფასი

მთელის წლისა . . 9 მ. | სამის თვისა . . . 3 მ.
ექვსის თვისა . . . 5 მ. | ერთის თვისა . . . 1 მ.

# დროება

გამოდის ყოველ დღე ორშაბათს გარდა.

ფასი განცხადებისა

დიდის ასოებით—ასოზე ერთი კაპეიკი, ასომთავრულით ასოზე ნახევარი კაპეიკი; ჩვეულებრივის ასოთი სტრიქონზე რვა კაპ.

თუ საჭიროება მოითხოვს, რედაქცია გაასწორებს და შეამოკლებს დასაბეჭდად გამოგზავნილ წერილებს. დაუბეჭდველ წერილებს რედაქცია ვერ დაუბრუნებს ავტორს.

განცხადება მიიღება ქართულს, რუსულს და სხვა ენებზედ.

ცალკე ნომერი «დროებისა» ღირს ერთი შაური

«იტალიის» ბაღში დღეს 16 ივნისს იქნება

ჭიდაობა

გლდანელისა

და თეირანიდან მოსული

ნაზაროვისა.

დასაწყისი საღამოს 6 საათზე.

## ტელეგრამები

(«ჩრდილოეთ ტელეგრაფის სააგენტოსი».)

პეტერბურღი, 13 ივნისს. «Новое Время» გვაცნობებს, რომ საზღვარ გარეთ გავრცელებულა ხმა დიდს სამხედრო მზადებაზედ რუსეთში, რომელსაც დაუწევია რუსეთის ფონდების ფასი.

არის ხმა, რომ ოდესის გენერალ გუბერნატორად ინიშნება გრაფი პავლე ანდრიას-ძე შუვალოვი.

ნევის ნაპირებზე გაჩნდა ცეცხლი, რომელმანც გადაწვა: ორთქლის ხის სახერხი ქარხანა და ხეტუე გრიგორიევისა, ნახევარზედ მეტი ლოცმანების სლაბოტკა და აგრეთვე გუტუევის კუნძულზე ხიმიური ქარხანა რასტერიაევისა, ძველების საწვავი ქარხანა შლათ-გორსტისა, სახაზინო ორთქლის წისქვილი, რომელიც იჯარით ჰქონდა ოვსიანიკოვს, 3000 შეკრული ცალი ბამბისა, რომელიც ეკუთვნოდა ახალს ბამბის სართველს ამხანაგობას «კლემენცისა და კამპანის». ზარალი მოუვიდათ მილიონ ნახევრისა, დაზღვევათ იყო შეტანილი მხოლოდ ერთი მილიონისა.

ბერლინი. პრუსიის სადეპუტატო პალატამ მიიღო საეკლესიო-პოლიტიკური კანონდებულება.

დალმიეტა — ეგვიპტელში. აქ გაჩნდა სახადი.

პეტერბურღი, 14 ივნისს. სენატორი გესარდი დაინიშნა მისი დიდებულების საკუთარ კანცელარიის მმართველის ამხანაგათ.

ბუშინ პეტერგოფში ხივის ხანმა და ბუხარის ამირისშვილმა მიართვეს ხელმწიფე იმპერატორს შემდეგი ძვირფასი საჩუქრები: ძვირფასი შალები, ხალიჩები, ხალათები, ხრმლები და ხანჯლები ძვირფასი თვლებით მოჭედილი და ამას გარდა ხანმა მიართვა ოთხი მშვენიერი ცხენი ძვირფას ჩულებში.

«Новое Время» გვატყობინებს, რომ პარიჟში შემდგარა ორი ამხანაგობა მათგან ერთი შეიმუშავებს ჩვენებურ ნავთსა და მეორე მარილის მადნებს.

დაუწყეს ბეჭდვა საგუბერნიო კომისიების შრომას სასმელების თაობაზედ.

---

თბილისი, 15 ივნისს.

ჩვენს გაზეთში დაიბეჭდა დაწვრილებითი ანგარიში ბათომის შესანიშნავის პროცესისა, რომელიც თავიდანვე კოწია ერისთავის სახელით მოინათლა. იმედი გვაქვს ჩვენი მკითხველები თვალ-ყურს ადევნებდენ და დაწვრილებით შეიტყვეს დასაწყისი და დასასრული ამ მრავალის მხრით შესანიშნავის საქმისა. სასამართლოს დარბაზში აიხადა ფარდა და ყველასთვის გამოაშკარავდენ ის პირ-შემჭრული რაინდები, რომელნიც ყოველთვის მზად არიან ყოველ ნაირს საშუალებას მიჰმართონ, ათასი უმანკო სული წაწყმინდონ, ოღონდ თავის გულის წადილი შეუსრულდეთ და საწინა თავ-მოყვარეობა დაიკმაყოფილონ. ერთის სიტყვით, გეცოდინებათ, რომ სასამართლოდამ ისინი კი, ვინც სამარცხვინო სკამზედ ისხდენ, მთლად გასპეტაკებულნი გამოვიდენ და ვინც, ვექილის ბარდიევსკის სიტყვით, უნდა მსხდარიყვნენ, დარჩნენ შერცხვენილნი და პირში ჩალა-გამოვლებულნი. ბევრი რამ ითქმოდა ამ საქმეზედ, მაგრამ რადგანაც ეხლა გარემოება ხელს არ გვიმართავს, უნდა აღვნიშნოთ მხოლოდ ორი მხარე: ერთი დიდად სამწუხარო და მეორე სასიამოვნო. სასამართლოს სასტიკმა გამოძიებამ დაამტკიცა, რომ ბათომის ადმინისტრაციის დაბალ მოხელეების მომეტებულს ნაწილს, როგორც სთქვა იმავე ვექილმა, შეადგენენ მეგრელების ხროვა, რომელნიც იქამდე შეუგნებელნი და მოუმზადებელნი არიან თავიანთი თანამდებობისთვის, რომ რიგის და წესიერების დაცვის მაგიერ, თითონ უფრო მზად არიან მშვიდობიანობა და წესი დაარღვიონ. იმათ ვერ გაუგიათ, რომ ის კანონი, რომელიც მათგან სასტიკ მორჩილებას ითხოვს, როდესაც უფროსის ბრძანება და განკარგულება კანონიერია, მათვე სასტიკად დასჯის, თუ იმავე უფროსის ბრძანებით ვისსამე აკლებას, ან უმანკო კაცის მოსაკლავად ჩასაფრებას გაჰბედავენ, როგორც ბატბერსის ხელქვეითმა მეგრელებმა ჩაიდინეს. ვაი იმ უფროსს, რომელსაც კანონის აღმასრულებლად ამისთანა ხელქვეითი მოხელეობა გარს ახვევია! ვაი იმ ფაროსს, რომლის მწყემსობაც ამისთანა სულიერებსა ჰრგებია! მაგრამ მეორე მხარე უფრო ნათელია

---

«დროების» ფელეტონი 16 ივნისი.

## ლენა

(ნამდვილი ამბავი)

(ნაამბობი მეგობრისა.)

«დავკარგე ჩემი სინათლე,
დავკარგე ჩემი თვალია!
ის გამჯობინე ვიყიდო
ხმალი და ცხენი მალია!! და სხ...

187... წლის ზაფხული იყო, როდესაც მე, ჯერ ახალ-გაზდა, სულ 23 წლისა, უნივერსიტეტიდამ დავბრუნდი და მოვიწადინე ის ზაფხული ჩემს სოფელში გამეტარებინა. რაც სრულის ხუთის წლის განმავლობაში მომხდარიყო, მე და დედა ჩემმა სულ ორ დღეში გადავეცით ერთმანეთს და შემდეგ თითქოს სალაპარაკო მასალა გამოგველია, დედა-ჩემს მაინც, ჩემის მოსვლის შემდეგ ღვთის წინაშე, ჩემთან სალაპარაკოდ აღარ ეცალა: ეს ეხლა სულ იმის ფიქრში და ფუსფუსში იყო «ჩემს ნიკოს რა უფრო უყვარსო» და დილით საღამომდე ტკბილსა და მწარეს ძალად კოვზით ხახაში მჩრიდა. ჩემს დასაც იმ გაზაფხულზედ ინსტიტუტი გაეთავებინა და ეხლა შინ იყო, მაგრამ პირველსავე შეხვედრაზედ ერთმანეთი არაფრად გვეჭაშნიკა და ჩვენმა თხებმა ცალ-ცალკე დაიწყეს ძოვნა ერთის სიტყვით ძალიან მომწყინდა სოფელში, თუმცა საზაფხულოდ უკეთესი ალაგი აღარ შეიძლება, და მალე აქეთ-იქით წასვლა დავაპირე გასართობად, ნუ იფიქრებთ, რომ ეს მოწყენა უსაქმობის და უსაგნოდ ცხოვრების მიზეზი ყოფილიყოს. მე ბევრი რამ მიყვარდა გულით, რისთვისაც საჭირო იყო მუდმივი და დაუცხრომელი შრომა და, — კვეხნა რა საჭიროა! — კიდეც ვშრომობდი, რამდენიც შემეძლო. სხვათა-შორის მე ისევ რუსეთშივე მქონდა ორი ვრცელი ლიტერატურული შრომა დაწყობილი და უთუოდ ეხლა სოფელში უნდა გამეთავებინა. ყოველ დღე თითქმის შვიდ-რვა საათს წერას ვანდომებდი, ყოველ საღამოს ბინდამდე ტყის პირში თოფით კურდღლებსა ვყარაულობდი, მაგრამ მაინც ვერ გავერთე.

დიდი ხანია, რაც ახალ გუნებაზე ვიყავი, სულ გულ-ჩათხრობილი ვიყავი... პატარძალივით ვიმზღვლეოდი, მუდამ მშფოთავი გული რაღასაც მთხოვდა, მაგრამ, რასაკვირველია, ვერ მივხვდი, რადგანაც ჩემი გული თურმე მას ითხოვდა, რაც ჯერ არ მეგრძნო, რასაც ჯერ არ ვიცნობდი.

## II

თიბათვის კვირა დილა იყო, როდესაც ირაჟრაჟა თუ არა, საჩქაროდ ტანთ გადვიცვი, დავეშვი ქვეითკენ, ორ ლულიანის თოფით ხელში. იქ ვენახების ბოლოში, ჭალის ერთს ალაგას მლაშე იყო და დილით ადრე დამაძღარი ქედნები ძალიან ეტანებოდენ იმ მლაშეს. ბევრი ზელტივით ქედანი ამიყვანებია ჩემის თოფისთვის იმ მლაშის პირებზედ და ეხლაც იქ მივეშურებოდი. მზემ მუბის ტარზედ კიდეც ამოიწია, თუმცა ხშირის ტყით დაბურული ხევები ჯერ არ დაეთვალიერებინა და მე ორი წყვილი ქედნის მეტი არ მედო გვერდით და სულ განაბული ველოდი კიდევ იმათ მოფრენას. დიდხანს აღარ მიცდია, როდესაც ორი ქედანი ზევით ქედიდან წყვილად დაეშვენ და სისინით ჩემს პირდაპირ პანტის გამხმარ ტოტზედ ტყუპად დასხდენ. ის იყო კიდეც გადვუღე თოფი, როდესაც იქვე ჩემს გვერდით მოისმა მშვენიერის სიმღერის ნარნარი ხმა. მაშინვე ისარ ნაკრავივით მოვტრიალდი, ორივე ჩახმახები დაბალს ფეხზედ დავუშვი, თოფი გადავაგდე, პირქვე წავწექ და სულ განაბული ყურს ვუგდებდი ამ ციურ ხმის წკრიალს, რომელსაც კამკამა დილის ნიავი ადგილიდამვე იტაცებდა და ჭალ-ჭალა ქვევით მიაქანებდა. ამ ხმებმა სწორედ ჯადოსავით იმოქმედეს ჩემზედ: იქვე დავდამბლავდი და ყურით სატარებელ მონად შევიქენ მისთვის, ვის მკერდიდამაც ეს მომხიბლავი ხმა ამოჰქროდა. ვეღარ მოვითმინე. ფრთხილად პატარა წინ წავჩოჩდი, თხილის ტოტებს გავსწიე და გავიხედე. ტყუილს არ ვიტყვი, იმ ჩემის უცნობის ქალის გარეგანი სიტურფე ბევრით აღემატებოდა იმ ხმის ძალას, რომელმაც მარჯვედ ნასროლ ქამანდივით შიგ გამახვია და დამიმონა, ჩემს პირდაპირ მაღლა ბეგობზედ წამომდგარიყო და ჭალას გადასცქეროდა ახალგაზდა, სულ თვრამეტის წლის, ნამდვილი მშვენიერების ღმერთა. ჯერ ჩემს თვალს არ ენახა მეორე ქალი, რომელშიაც ესეთი სრულის ჰარმონიით შეთვისებულიყვნენ: ტანის მოყვანილობა, ღვთაების გამომხატველი პირის სახე და ანგელოზის ხმა. სული როგორა ტრიალებდა ამ მშვენიერს სხეულში, ჯერ ჩემთვის საიდუმლო იყო, მაგრამ მაშინვე გა-

და რაღაც იმედებს იძლევა. 20 ნოემბრის 1864 წლის სასამართლოს წესდებამ ღრმა კვალი გაავლო ადმინისტრაციისა და სამსაჯულო ნაწილებს შუა, თუმცა, ღვთის წინაშე, ეს კვალი ბოლომდე გატანილი არ არის და რაღაც კუდია დარჩენილი... კავკასიის სამართლის მატიანე, ნამეტნავად, უთვალავს მაგალითებს წარმოგვიდგენს, რომ თუმცა სასამართლოს დარბაზში არც ერთის ფაკტი არ გამართლებულა, რომელიც წინასწარ გამოძიებას შეუკრებია და ბრალდებულისთვის თავზედ მოუხვევია, მაგრამ სამართალს მაინც იმ გზაზედ გაუვლია, რომელიც გამოძიებას და გამამტყუნებელს ოქმს უჩვენებია. სიამოვნებით უნდა ვაღვიაროთ, რომ ბათომის სასამართლომ სრულიად უარ-ჰყო ნაჩვენები გზა, არ დაემორჩილა უცხო ზედმოქმედებას, რის გავლენის ქვეშაც მთლად იმყოფებოდა ეს საქმე და დაადგინა საკუთარი და პირუთვნელი განაჩენი.

ყურადღების ღირსია ეს მოვლენა და ყველა, ვინც კი სასამართლოს სრულის განთავისუფლების პრინციპის მომხრეა და ესმის მისი მაღალი მნიშვნელობა საზოგადო ცხოვრებაში, სიხარულით უნდა მიეგებოს.

## ახალი ამბები.

≈ განჯის გუბერნატორმა თ. ნაკაშიძემ სამსახურიდამ დათხოვნის ქაღალდი მისცა, მაგრამ, როგორც ნამდვილად შევიტყეთ, ეს ქაღალდი უმაღლესს სფერებში არ მიუღიათ.

≈ ამ ერთის წლის წინად ბათუმში გამოდიოდა რუსული გაზეთი „ბათუმის ფურცელი" თ. ვაჩნაძის რედაქტორობით. ეს გაზეთი დაიხურა, მაგრამ მისი რედაქტორი თ. ვაჩნაძე ტფილისში აპირებს თურმე რუსულის გაზეთის გამოცემას, რომელსაც სახელად ერქმევა «ბურჯი» (Опора). გამოცემის ნება კიდეც მოსვლია თ. ვაჩნაძეს.

≈ კახეთიდამ მოსულებმა გვიამბეს, რომ ოცი წელიწადია, რაც ამისთანა მსხმოიარე და საღი ვაზი არ გვინახავს. ზოგიერთს ვაზს თხუთმეტ-ოცი მტევანი აბია და თუ არამ წაგვიხდინა, ღვინის მოსავალი უხვი იქნებაო.

≈ ამას წინად ვაცნობეთ მკითხველებს, რომ ქართლში ცხინვალის ხეობა დაისეტყვაო. ეხლა, ნამდვილად შევიტყეთ, რომ დასეტყვილა მხოლოდ ტყეები და ცოტაც დაუკრავს ზინდორში, მაგრამ ჯერჯერობით თითქმის არაფერი ზიანი არ მისცემია.

≈ რუსულ გაზეთების სიტყვით, კავკასიის აქეთა მხრის ბაჟის გამგეობა იმავე წესით უნდა იქმნას მალე მოწყობილი როგორც მთელს რუსეთის იმპერიაში არის.

≈ იგივე გაზეთები ამბობენ: იმ კომისიას, რომელიც საპყრობილეების გადაკეთების თაობაზედ იყო შემდგარი, გადაუწყვეტია მოისპოს დამნაშავეთა გაგზავნა ციმბირში, სხვა შორეულ გუბერნიებში და აგრეთვე კავკასიაში. ეს გარდაწყვეტილება, ამბობენ, მომავალს წელს შევა ძალაში.

≈ ვლადიკავკაზის გაზეთი «თერგი» ამბობს, რომ ამ ქალაქის საქმეები მეტის-მეტად ცუდად მიდისო. ქალაქის ბანკი დღემდის იმ პირების ხელშია, რომელთაც იმის საქმეები სრულიად აურ-დაურიესო. ქალაქის წარმომადგენლები არაფერსა ზრუნავენ ქალაქზედ და კრინტსაც არა სძრავენ იმ რკინის გზის მიმართულებაზედ, რომელიც პეტროვსკისაკენ უნდა წავიდეს და რომელიც მთელის ქალაქისათვის საინტერესო არისო. თუ ამ უმზგავსს მდგომარეობას ბოლო არ მოეღო, ქალაქს გაკოტრება მოელისო.

≈ «კავკაზსა» სწერენ ჯავახეთის ახალ-ქალაქიდამ, რომ ქალაქს გვერდით მუსხელიშვილების მამულში, ექვსს ივნისს საღამოზედ, მოუკლავთ ახალ-გაზრდა მამულის პატრონი თაირ-ალა-შარაფჩი-ოღლი. მკვლელები ვერ უპოვნიათ.

≈ ამავე გაზეთში დაბეჭდილ ქალაქის სხდომების ანგარიშიდამა სჩანს, რომ ხმოსანს ალადათოვს დიდი მონაწილეობა მიუღია ცეცხლის დროს კახისა და წიგნების გადარჩენაში. როგორც ეტყობა, ეს ხმოსანი უფრო ერთგული ყოფილა ქალაქისა, ვიდრე ზოგიერთა შლიაპოსნები, რომელნიც მას უსწორ მასწორო ლაპარაკს დასცინიან. ბატონებო, უსწორ მასწორო მოქმედებაზედ ისევ უსწორ მასწორო ლაპარაკი უფრო ასატანია.

≈ გაზეთს „Новост"-ში დაბეჭდილია შემდეგი მმართებლობის განკარგულება: სოფ. კახში, ზაქათალის მაზრაში, უფლება მიეცეს კერძო პირებს მათ საჭიროებისათვის საგზაო ქაღალდი (подорожная).

## «დროების» კორესპონდენცია.

შორაპანი, 5 ივნისს. ამ ჩვენს დასჯილ წუთის სოფელში ისე დღე არ გაივლის, რომ სულ სხვა-და-სხვა საზარელი ამბები არ გაიგონოთ; ესა-და-ეს კაცი მოჰკლეს, ის დასჭრეს, მას მიუხტნენ, ის მძიმედ გალახეს, ის გადასწვეს, სხვა გაქურდეს და სხ. ვინ არიან ეს მოქმედნი პირნი? უმეტესი ნაწილი თავად-აზნაურთაგანნი. რა არის მიზეზი ამ მოვლენისა? ჩემის აზრით აი ეს მიზეზები: 1) ჩვენს გაუნათლებელ ხალხში იცის მრავალი უბრალო დღესასწაულები; ზოგი მათგანი კი პატივ-სადებია, როგორც ეკლესიისა, აგრეთვე ხალხისაგანაც და ზოგს კი არავითარი მნიშვნელობა და მოსწავება არ აქვს კაცის თვალში. ამ დღესასწაულებს აღდგომის კვერცხსავით შეჰხარიან მეტადრე თავად-აზნაურნი, თუნდ ამ დროს ოსმალების წინააღმდეგ მიელაშქრებოდენ საბრძოლველად. თუ ვისმეს რამე უწყენიებია მათთვის, ან საქმით, ან სიტყვით, და ან საზღვარზე ცილობა ჰქონიათ ოდესმე, მაშინ უნდათ ერთმანეთის გულის ჯავრი ამოიყარონ. 2) რადგანაც კეთილშობილებს უფრო ბევრი მამული აქვთ და საზრდო უზრუნველად შემოსდით, უმეტესი თავისუფლებაც აქვთ ყოველ გვარი ბოროტ-მოქმედება ჩაიდინონ. ეს რომ ცხადია, რომ რამდენიც კაცი შრომაში გართულია,

---

დავწყვიტე, რომ ამ ანგელოზებრივ გარეგნობაში ბოროტი სული ვერ დაიბუდებდა. ამ ქალის ერთის დანახვით თითქოს თვალებზედ ლიბრი გადამეწმინდა, ქვეყანა სხვა ნაირად მომეჩვენა და რაღაც სხვა ცხოვრების კარები გამეღო. აი ის საგანივე ეუბნებოდა ჩემს თავს, რასაც ჩემი გული აქამდე ნატრულობდა, რასაც ეძებდა და ვერ ეპოვა!.. შიგიდამ მოისმა ბავშვების მხიარული ჟღივილ-ხივილი და პატარა-ხანს უკან ქედზედ ამოირბინეს და ქასქასით ეცნენ იმ ქალს ერთი თორმეტი წლის ვაჟი და იმაზედ უმცროსი ქალი. მე იმათ ვეღარ ვიცნობდი, თუ არა მცოდნოდა, რომ ბიძა ჩემი იასე, რომელსაც ქალაქში კარგი ალაგი ეჭირა, საზაფხულოდ უნდა სოფელში მოსულიყო ცოლ-შვილით. ეხლა კი გავარჩიე, რომ ის ყმაწვილი იყო ვასო, რომელიც მე შვიდის წლისა დავსტოვე და ქალიც—იმისი თამარო. მაშინ კი თამამად გაველი ჩემის სავარიდამ—მგონია სამივენი კიდეც შევაშინე—ჯერ ქალს რაღაც მორცხვად თავი დავუკარი და ჩემი პატარა ბიძა-შვილები ისე გულიანად გადავკოცნე, რომ მე თითონ შემრცხვა. ყმაწვილებმა ვერ მიცნეს და გაოცებულნი მიყურებდენ.—ვეღარ მიცანით, ვუთხარი მე, თქვენი ნიკო ვარ!.. ვასო მაშინ მოვიდა ანდეზედ და გახარებული კისერზედ შემომახტა კატასავით. საზოგადოდ მორცხვი ვარ და არ ვიცი საიდამ მომეცა მაშინ სითამამე: მე თითონ მივედი შემკრთალ ქალთან, რომელიც თავით ფეხამდე თვალითა მზომავდა, ხელი გავუწოდე და ჩემი ვინაობა განვუცხადე. ქალმა მორცხვად ხელი მომცა და ნაზის ხმით მითხრა: დიდად სასიამოვნოა თქვენი გაცნობა! დიდი ხანი არ არის, რაც მაგათსა ვარ, მაგრამ მაგათ დედისგან ბევრი გამიგონია თქვენზედ...

დახოცილი ქედნები და თოფი ვასომ აიკიდა, მას თან გაჰყვა თამარო და მე და ის ქალი მხარ-და-მხარ მივდიოდით. კარგა მანძილი გავიარეთ ჩუმად და ერთმანეთისთვის ხმა არ გაგვიცია. გული აჩქარებით მიცემდა და მთლად ალანძული ვიყავ. რამდენჯერმე დავაპირე სიტყვის თქმა, მაგრამ ვატყობდი, რომ ხმა ყელშივე მიკანკალებდა და ისევ გავჩუმდი. ქალიც თავ-ჩაღუნული გვერდით მომდევდა; ხშირად ქურდულად გვერდზედ შემომხედავდა და იმის ნაზ ლოყებზედ იბეჭდებოდა მისი შინაგანი მღელვარება და გულის შეშფოთება. როგორც იყო დავძლიე ჩემი მღელვარება და ვუთხარი: ბედნიერი ხართ, თქვენ არც კი შეგიტყვიათ და ამ დილა სისხამზედ კი ერთი კეთილი საქმე დასთესეთ!..

— როგორ! არ მესმის, რას ანბობთ, მიპასუხა ქალმა.

— აი მოგახსენებთ. ის იყო თოფის ტუჩი გადავუღე და ორ ქედანს გავაციებდი, როცა, თქვენის სიმღერის ხმა შემომესმა და თოფი ხელიდამ გამვარდა. ეხლა უთუოდ თქვენა გლოცავენ ის ორი, სიკვდილს გადარჩენილი სულიერი...

ლენას (დროა შეგატყობინოთ, ასე ერქვა იმ ქალსა) სიამოვნება და კმაყოფილება გამოეხატა სახეზედ, მაგრამ მაშინვე პასუხი ვერ მომიგო, ალბად ისე მოულოდნელი იყო მისთვის რაც მე ვუთხარი.

— მე მეგონა, ჭიანჭველასაც ვერ დავიფარავდი სიკვდილისაგან, და დახე, რა ძლიერი ვყოფილვარ, რომ ჩემს ხმასაც კი შესძლებია რაიმე სულიერის სიკვდილიდამ გადარჩენა!.. მომიგო ირონიით და თითონვე ყურებამდე გაწითლდა. მერე ხმა აღარ ამოგვიღია, მინამ ერთმანეთს არ გავშორდით. ჯვარედინ გზაზედ რომ მივედით, იქ გულიანად ხელი ჩამოვართვი და ზლაზნით გავსწიე შინისკენ, რამდენ ხუთს ნაბიჯსაც გადავდგავდი, იმდენი უკან მივიხედავდი და თვალსაც მას ვატანდი, ვისაც გული თან-გავატანე. კიბეებზედ რომ ავიარე, ბალკონზედ დამხვდა ჩემი და ნატო, რომელიც თავით ფეხამდე რაღაც რომანში ჩაყურყუმალებული იყო და ჩემი მისვლა ვერც კი გაიგო. რაღაც გიჟურად ვეცი, ბუმბულივით წამოვიტაცე ტახტიდამ, რამდენჯერე შემოვატრიალე, ქინით გულში ჩავიკარ, მადიანად ორჯერ ვაკოცე და ისევ დავსვი, დედა ჩემიც კარებში გამოდგა და სიამოვნებით უყურებდა ჩემს გიჟობას. ჩემმა დამ აწეწილი თმები გაისწორა, ალერსიანად სილა გამარტყა და დედას მიუბრუნდა: ეგეც შენი დაბრძნილი შვილი! ჰხედავ, როგორ ხუტუცელობს?.. არ შეგშვენის, ყმაწვილო! მომიბრუნდა ახლა მე.

— რატომაო, ვითომ? უწინ ამისი ტოლები ჯერ კოჭებსა თამაშობდენ, უპასუხა დედამ და მხარზედ ხელი გადამხვია...

იმ დღეს ერთობ მხიარულად ვიყავ, ასე რომ ვისმე ატაცებული ვეგონებოდი. ჩვეულებისამებრ აღარც სადილს უკან დამიძინია: სულ ბალკონზედ ვეშდებოდი და თვალს აღარ ვაშორებდი იმ სახლს, რომლის ჭერქვეშაც იმყოფებოდა ეხლა ის, ვინც ისე მარჯვედ მტყორცნა ისარი

მით უფრო ვერ ჰპოე'ს დროს რაიმე ბოროტ-მოქმედების შესასრულებლად. 3) მრავალ პირს შეემთხვა ჩვენ'ში კაცის-კვლა, დაჭრა, ქურდობა და სხვა საზარელი მოქმედება, მაგრამ ზოგმა თავმდებობით, და ზოგმა ვინ იცის რა საშუალებით გამოიშვა თავი... და 4) ვისიც რიგია არ ადევნებს მკაცრ ყურადღებას ამისთანა ბოროტ-მოქმედთა და არ აძლევს შესაფერ სასჯელს.

ამისთანა შემთხვევის მაგალითები ბევრია ჩვენში: ამ ერთის წლის განმავლობაში აზ. დ. მდივანმა ასოასო აჩეხა აზ. ალავიძე და უკანასკნელმა იქვე დალია სული. აზ. ა. მაქარმა დასჭრა მძიმედ გლეხი მაკოუზირიძე, რომელსაც ხელები დაუსახიჩრდა. აზ. ბ. ქლენტმა გლეხმა ი. შალამბერიძე მძიმედ დასჭრა მისსავე სახლში უმიზეზოდ:—ამ მაისის თვეში ს. ქვალითში აზ. ბუნცაძეებმა დღით ოქოთობას დასჭრეს ერთმანეთი და ერთი მათგანი. ა. ბ—ძე სასიკვდილოდ არის გადადებული. ამავე შემთხვევის მეორე დღეს მძიმედ დაჭრილის ა. ბ—ძის ძმის-წული ა. ბ—ძე მიუხტა თავის ნაყმევთაგანს ო—კაძეს, რატომ 14 მაისის ჩხუბში არ მოგვეხმარეო, შემოჰკრა ხანჯალი და სულ გააგდებინა მარჯვენა ბარძაყი. მაისის 26 ამაღლებას, ს. საქარს აზ. მდივანმა და საყვარელიძემ ტყუილად ჯერ რევოლვერი ესროლეს თავში და მერმე ოც-და-რვა ალაგას დასჭრეს ერთი საწყალი გლეხი და იქვე დალია სული. იმავე დღეებში ს. ბედლევში აზ. ქუჩუხიძემ ჩასცა გულში მძინარე კაცს დანა და იქვე ჩაჰკლა. ს. შრობაში გადიწვა მღვ. მარკოზ მშველიძე, რომელიც იყო უშვილო, წინედ მსახურებდა ოსეთში მღვდლად, მერმე თავის სამშობლოში გადმოვიდა, დადიოდა დაძონძილ ტანისამოსში, ფეხშიშველი, ეკლესიაში კი ნახავდით დაფლეთილ წაღებში თითებ-გამოყოფილს; თვითონ სამუშევრად იყო წასული, ცოლი მინდორში მწყსიდა ღორებს და ცხვრებს. შუა დღეზე გასჩენია სახლს ცეცხლი და უკანასკნელ ფერფლამდის დადაგულა. დაწვია ყოველის ფერი ტანისამოსი და ოჯახის ავეჯეულობა. 3,000 მ. სულ 100 მანეთიანი ასიგნაციები, ორი ნაჭერი ჩამოუსხმელი ოქრო ძვირფასადა ღირებული, გადარჩენილიყო ერთი დიდი ქოთანი ვერცხლის ფული, რომელიც ყოფილა მიწაში ჩაფლული 2,000 მ. სულ მანეთ-ნახევრიანები (ეკატერინეს მანეთი). ამ შემთხვევასაც მღვდელი სხვას აბრალებს, ვითომც სხვას გადაეწვას, რამდენად მართალია კაცმა არ იცის ჯერედ ეს საქმე.

რასაკვირველია ამ ზემო აღწერილ პირთა შემხედავნი უარესს იქმონენ, რადგან არამც თუ სასჯელში მიცემულან, არამედ მათთვის ჯერედ ჩვენებაც არ ჩამოურთმევიათ.

## ნარევი

—

ტყუილიც ამასა ჰქვიან! სიცრუის სახელი აქვს ზოგიერთ ჩვენებურს თავადაზნაურს დაკარგნილი, მაგრამ ამერიკელები რომ ტყუილს გაჰხანხლამენ, იმის მსგავსს ჩვენი ლუარსაბ თათქარიძე თავისი დარეჯანით და სუტ-კნეინით თავის სიცოცხლე რომ იჯდარიყო და ეფიქრა, ვერას მოიგონებდა. ერთს, რომელღასაც თავადს, მგონია ამირეჯიბს, თავის საუბედუროდ წარმოსცდენია ერთხელ, რომ, მამა არ წამიწყდება,—სამოცი კურდღელი ერთად ვნახეო, და მას აქეთ მთელ საქართველოში ეს უმანკო ხუმრობა ყველას ხელზედ დაუხვევია, როგორც ტყუილის ნიმუში.

აი რასა სწერს ერთი ამერიკელი გაზეთის კორესპონდენტი. ზღვით მოვდიოდი და ჩვენს გემს მთელი დღე და ღამე თან მოსდევდა ერთი საშინელი აკულაო (აკულა დიდი თევზია, რომელსაც ისეთი ხახა აქვს, რომ ცოცხალ კაცს გადაჰყლაპავს); რაც გადავუგდეთ, ყველაფერი გადაყლაპაო და ბოლოს ჩვენს კაპიტანს სტოლზედ დასადგმელი საათი გასაღვიძებლის მექანიზმით (БУДИЛЬНИКЪ) გადაუვარდა და ისიც აკულამ გადაჰყლაპაო. მაგრამ იმ უბედურს საათი ვერ შეენელებინა და მთელი ღამე აკულას მუცელში არეკდა და არ გვაძინებდაო! ტყუილი თუ გნებავთ, ესეთი უნდა რომ აკულამ ის საათი ვერ მოინელა, ეს არაფერია, მაგრამ საკვირველი ის არის თითონ იმ ჰპატიოსანი გაზეთის კორესპონდენტმა ამისთანა ტყუილი როგორ მოინელა?

—

ჩვენი ციბრუტოვი კანონ მგრეხელოვების საყურადღებოდ. მოგვხსენებათ ფორმას, დაწერილის კანონის ასოს რა დიდი მნიშვნელობა აქვს იურისტებისთვის. ამ, ესრედ წოდებულს, «მკვდარს ასოს» ხშირად ამსხვერპლებენ ხოლმე კაცის მთელს ავლადიდებას და თავის უფლებას, როდესაც საღი ჭკუა, სინიდისი და საზოგადო სიმართლე სრულიადაც არ მოითხოვს ამას, აი ერთი მაგალითი, საიდანაც დაინახავთ რა სასაცილობამდე მიაღწევს ხოლმე იურისტების ფორმალისტობა.

შვეიცარიისა და საფრანგეთის სამზღვარზედ სდგას ერთი სახლი რომელსაც სამზღვარი ზედ შუაზედა ჰყოფს. ის სახლი გაუტეხიათ და ფული გაუტანიათ. ქურდები, თუმცა გაუბაწრავთ, მაგრამ ესლანდელ სოლომონ ბრძენებს თავის მტვრევა იმაზედა ჰგონიათ: შვეიცარიის სასამართლომ უნდა გაარჩიოს ეს საქმე, თუ საფრანგეთისამ, რადგანაც შესავალი კარები საფრანგეთიდამა აქვს და ფულიან ოთახი, საიდამაც ფული გაუტანიათ შვეიცარიის მიწაზედა სდგას. ბოლოს მაინც ასე გადაუწყვეტიათ; კარების გატეხა უნდა გაირჩეს საფრანგეთში და ფულის მოპარვა შვეიცარიაში!

ჩვენის ფიქრით, ამ საქმის გარჩევაში უთუოდ მესამე სახელმწიფოც, მაგ. ინგლისი, უნდა ჩაერთოს, თუ მისს კონსულს შვეიცარიაში თავისი მოვალეობა რიგიანად ესმის აი რად: ისკლიტე, რომელიც ქურდებს გაუტეხიათ, უეჭველად ინგლისის ბირმან-ჰამის, ან შეფილდის რომელიმე სამჭედლოში იქნებოდა გაკეთებული და ინგლისის კონსულმა იმისი გატეხა უნდა მიიღოს თავის მართებლობის გაუპატიურებად და ინგლისელების ხელოვნების მასხარად აგდებად, შეიძლება ამ ორის ქვეყნის გამოჩენილმა დიპლომატებმა კალმები კიდეც ალესეს და დიპლომატიური მიწერ-მოწერა, გაჩაღდეს ამ საქმის შესახებ!

—

სადაც დიდი სიმდიდრეა იქ სილარიბეც დიდია. ეხლა სიმდიდრით ვერც

---

და გული დამიკოდა. იმ წუთიდამ მე ვიყავი უხილავი, მაგრამ ერთგული მფარველი და დარაჯი იმ სახლისა...

### III

დროა ლენა გაგაცნოთ. ეს ქალი იყო გვარტომობით რუსი, თუმცა რაღაც მანქანებით—ალბად ჰაერის და ბუნების ზედ მოქმედების წყალობით—გარეგანის შეხედულობით სრულიად რუსს არა ჰგავნდა. იმისი მსხვილი შავი თვალები, ხშირი და გრძელი გიშრის მესრებით გარს შემოზღუდული, ზომიერი, მოხდენილი ცხვირი, წვრილი წელი და წაბლის ფერი, ორი მსხვილი ნაწნავი სულ სხვას გვიმტკიცებდენ. ლენას მამას, თავის დროზედ, ბობოლა ჩინოვნიკი იყო და კეთილი ცხოვრების ყადრიც იცოდა, ასე რომ ყოველს წელიწადს თავის ჯამაგირის ტოლას ვალსაც იღებდა. ლენა თხუთმეტის წლისა იყო, როდესაც მამა მოუკვდა და უთვალავი მოვალეები პრისტავების წინამძღოლობით დღეში რამდენჯერმე იერიშით მიდიოდენ მათს სახლზედ. ერთის სიტყვით, ნებივრად გაზრდილმა ლენამ ინსტიტუტი გაათავა და ეხლა იძულებული იყო ყველა ახალ-გაზრდა ქალისთვის იმ მძიმე ხელობას შესდგომოდა, როგორც გუვერნანტკობაა, რომელსაც თან მოსდევს სხვის ოჯახებში წანწალი და ათასნაირი სხვა განსაცდელი. რაღაც იღბალზედ ბიძაჩემისთვის ექოთ ეს ახლად ინსტიტუტიდამ გამოსული ქალი და იმ ზაფხულს მასწავლებლად წამოეყვანა ჩვენს სოფელში.

### IV

ის სოფელი, სადაც მე ისე მალე მომეწყინა და გაქცევას ვაპირობდი, შეიქნა ჩემთვის სასუფევლად, საიდამაც, თუ ძალად ვინმე წამიყვანდა, თორემ ნებაყოფლობით მე იქიდამ აღარ გავიდოდი, მინამ ლენა იქ მეგულებოდა. ჯერ წინად მრცხვენოდა სოფლის ჰორისა და ვცდილობდი ისე შევხვედრიყავ ლენას, როდესაც ის ყმაწვილებით სასეირნოდ დადიოდა ხოლმე მინდვრებზედ და უფრო ტყეებში, რომ არავის თვალი არ მოეკრა, მაგრამ, როდესაც დავრწმუნდი, რომ ამ ჰორს ვერსად წაუვიდოდი, მეც სადაცეს მოუშვი და ულენოდ აღარავის უნახივარ იმ ზაფხულს, თითქმის ბიძა-ჩემისას გადავსახლდი—სულ იმათსა ვიყავი.—ბიჭო, აქამდე კი მოუკარებელი რამ იყავი და ეხლა გაგიცხოვლდა ჩვენი სიყვარული!.. მეტყოდა ხოლმე ეშმაკურის ღიმილით სამიჯნურო საქმეებში კარგად გამოწვრთნილი ძალუა ჩემი. დედა-ჩემმაც მაშინვე შემატყო, რომ ღრმად შევტოპე და ნაცნობს უცნობს შესჩიოდა: ეგ ჩემის ცოდით სავსე (მე) უთუოდ იმ რუსის გომბიოს გადაიკიდებს და თავს დაიღუპავსო... მაგრამ მე ლენას ველარავინ მომაშორებდა. იმისი წმინდა და უმანკო სიყვარული, როგორც ნაგოლვ მიწას ცის ცვარი, ისე მომხვდა, ძვალსა და რბილში გამიჯდა და ჩემთვის აღარ მოიპოვებოდა ისეთი უძვირფასესი საუნჯე, რომელიც იმისთვის ყოველს წუთში მზად არა ვყოფილიყავ მსხვერპლად შემეწიროს. ჩემზედ უბედნიერესი არსება აღარ იყო ქვეყანაზედ, როდესაც მე და ლენა ხშირს ტყეში, რომელიმე წიფლის ძირში ერთი ერთმანეთთან ისე ახლო მიმსხდარნი, რომ ერთმანეთის ორთქლითა ვყნოსავდით, სამოთხის ნეტარებას ვგრძნობდით ერთმანეთის სიახლოვით. უფრო ხშირად გაჩუმებულნი ვისხედით, ლაპარაკს ვერ ვახერხებდით, მაგრამ, მგონია, ჩვენს თავს დამჯიჯიკე პაწია ფრინველებიც კი ჩვენს სახეზედ და თვალებში კითხულობდენ რა ცეცხლი ენთო ჩვენს გულში. რამდენჯერ გაუკრავს ჩემთვის ჟრუანტელს და ორივ მკლავები თავის თავად გაშლილან ლენას გულში ჩასაკრავად, მაგრამ მე თავი შემიკავებია ისევ.

ერთხელ, როდესაც ჩვეულებისამებრ გაჩუმებულნი დიდ ხანს ვისხედით ტყეში და ორივეს შინაგანი ცეცხლის ალი პირის კანსა გვწოვდა, თითქოს თავის თავად ჩამივარდა ლენას გახურებული მარცხენა ხელი ჩემს მარჯვენაში და მაგრა მოუჭირე. ჰო, ძმაო, ვინ აწერს რა გამოიხატა მაშინ ლენას თვალებში!? მეც რაღაც ჟრუანტელმა გამკრა თავით ფეხამდე და მთელს ტანში თრთოლა მომივიდა, ნაკვერჩხალივით გაუშვი ლენას ხელი, წამოვფრინდი და წყაროზედ ჩავირბინე. როდესაც ამოვედი ლენა ხის ძირში აღარ დამიხვდა; ბილიკზედ წყნარის ნაბიჯით მიდიოდა თავ-ჩაღუნული და თითქოს რაღასაც მემდუროდა, შინამდე ისე მივედით, რომ კრინტი არ დაგვიძრავს. ჯერ ჩვენში ის, თითქოს ყველასთვის სათანადო, სიყვარულის გამოცხადება წამოჩოქებით და სხვა ცერემონიებით არ მომხდარიყო და არც შემდეგ მომხდარა.

არაგველი.

(დასასრული შემდეგში)

ერთი ქვეყანა ვერ შეედრება ინგლისს და მისი დედა ქალაქი, ლონდონი, უპირველესი ქალაქია მთელს ქვეყანაზედ, როგორც სიმდიდრით, ისე ხალხის სიმრავლით; მაგრამ ამ გაუმაძღარ ქალაქში, საითკენაც უთვალავი ხომალდები მთელის ქვეყნის სიმდიდრეს ეზიდებიან და ყელთამდე სავსე კრეზებმა არ იციან თავიანთი დოვლათი სად გადაჰყარონ, წელიწადი არ გავა, რომ რამდენიმე კაცი სიმშილით არ მოკვდეს. შარშან, როგორც ჰტყობულობთ გამოჩენილის გაზეთის Times-იდამ, ლონდონში მომკვდარა სიმშილით 58 კაცი.

ღმერთმა ისევ ის ქვეყნები აკურთხოს, სადაც მილიონი არავისა აქვს და სულ ჯიბე გახვრეტილები დადიან, მაგრამ ცივი წყალი და ქერის პური კი ყველას უქლებელი აქვს.

## განცხადებანი

—

თბილისის საობლო სასამართლოს, **(сиротскій судъ)** რადგანაც ცხრას ივნისს ცეცხლი მოეკიდა და ყველა საქმეები დაიწვა, სურს შეკრიბოს და სისრულეში მოიყვანოს ყველა საქმეები; ამისათვის უმორჩილესად სთხოვს ყველას, ვინც აპეკუნათ, ანუ ობლების მზრუნველად არის დანიშნული, წარმოუდგინოს საობლო სასამართლოს ყველა ის უქაზები ანუ სხვა წერილობითი განკარგულება, რომელიც ამ სასამართლოდან მისვლიათ, აგრეთვე კოპიოები აპეკუნობის ანგარიშებისა, ნუსხა ობლების ქონებისა და მოხსენება ვის რამდენი ობლების ფული აქვს და სხვა ყველა ცნობები, რომელნიც საჭირონი არიან საობლო სასამართლოსათვის, რომ კანონიერად შეეძლოს წაყვანა საპეკუნო საქმეებისა.

საობლო სასამართლო ამით აცხადებს, რომ პირველს ოქტომბრამდე ამ წლისა მოუნდება ძველი სააპეკუნო საქმეების სისრულეში მოყვანას და არც ახალი აპეკის საქმეები იქნებიან შეყენებული.

კანცელიარია სასამართლოსი იმყოფება ეხლა ქუკიაში, რეუტოვის ქუჩაზედ, ფედიროვის შესახვევში, რეალურ გიმნაზიის ახლო, ჩინოვნიკი მირზინკოვის სახლში № 9.

არზები და მთხოვნელები მიიღება 10—12 საათამდე.

თავმჯდომარე საობლო სასამართლოსი
(3—3) ნ. შანშიევი.

### იაფად ისყიდება:

საზაფხულო წამოსასხამები 4 მ. 5000 ბროლის სტაქნები 25 კ. თითო. 600 დანა-ჩანგლის დასადები 10 კ, 3000 ოზმა ფოსტის ქაღალდი 1 მ. 20 კ. დიდ ძალი ჩაი 1 მოკრეფისა 1 მ. ნამდვილი ფუ-ჩე-ფუ 2 მ. გარვ. და ბროლის გრაფინკები ინგლისის მაღაზიაში. (10—10)

---

ახლად გამოცემული ბიუსტი
შოთა რუსთაველისა
(დამწერი ვეფხვის-ტყაოსნისა).
იყიდება გრ. ჩარკვიანის წიგნის მაღაზიაში თბილისში.
ფასი ოთხი მანეთი. (3—3)

---

## ინგლისის მაღაზია

Maison de confiance

| შეადარეთ ჩვენი ჩაი | მოსკოვის ჩაის |
|---|---|
| 1 მ. 10 კ. | 1 მ. 40 კ. |
| — — 1—20 | — — 1—60 |
| — — 1—40 | — — 1—80 |
| — — 1—60 | — — 2— ,, |
| — — 1—80 | — — 2—50 |
| საუკეთესო 2— ,, | — — 3— ,, |

იქვე ისყიდება სხვა საქონელიც: თოფები, რევოლვერები, კრაოტები, ჭურჭელი, ჩაიდნები, გასაღებები, დანები, კოვზები, ტაშტები, კალმები, ქაღალდი, შოკოლადი, კაკაო, კანფეტები, მურაბები, მაგნეზია, უნაგირები, კლეონკა, წინდები—კაცის და ქალის, ხელ-სახოცები, მაკინტოშინ კალენკორი — სულ ყველაფერი 25-დამ 50 პროცენტით უფრო იაფად, ვიდრე სხვა რომელსამე მაღაზიაში.

ვინც ქალაქს გარედამ 25 მანეთიდამ 1,000 მანეთამდინ საქონელს გამოიწერს, გასაგზავნს არაფერს არ იხდის. (100—92)

---

### ინგლისური რკინის კრავოტები



ერთ საწოლიანი 8 მ. და ორ საწოლიანი 14 მ., ლეიბები გატენილი ზღვის ბალახით 5-დგან—9 მან. ინგლისურს მაღაზიაში. იქვე ისყიდება 25% იაფათ სანამ სხვაგან სადმე: ჭურჭელი, დანა-ჩანგალი, კოვზები, ფადნოსები, კლიტეები, ხაფანგები, რკინის კალმები, ქაღალდი, ნიჩბები, რევოლვერები, თოფები, კაცისა და ქალის უნაგირები, ალბომები, კლეონკები, ჩაი 1-ლის ხარისხისა. (100—77)

---

სურთ მიღება მოსწავლე ქალებისა და შემზადება მეხუთე გიმნაზიის კლასამდისინ ოჯახში სადგომით. ამავე ოჯახში იღებენ სხვა-და-სხვა საკერავებს მცირე ფასით.

ადრესი: ქუთაისში, ბალახვანის ქუჩაზედ საკუთარ ტაიგელის სახლში. (3—2)

---

ინგლისის მაღაზიაში

### თმის-ამომყვანი

ამაგრებს თმას და ადრინდელ ფერს აძლევს, ფასი ერთი შუშის 2 მან., გაგზავნით 2 მანეთი და 28 კაპ. (100—91)



### მაკ-მასტერი

აქვე ისყიდება ქინის პომადა თმების გასამაგრებლად. ფასი 1 მან. სჩოტკები თავის ტკივილის მოსასპობლად, ტუალეტის საპონი, დუხები და სხვ.

---

## შპალერები

ვერცხლის მედალი.

აუარებელი და ისყიდება ქარხნის ფასებით
ძმათა ტარნოპოლების
ქარხნის ადგილის საწყობში ლორის-მელიქოვის ქუჩა, სახ. ზუბალოვისა სასულიერო სემინარიის პირ-და-პირ.
ნარდათ მყიდველთ დაეთმობათ. (40—23)

---

საგლობუსო 

კალმები

რომლებითაც შეიძლება წერა სულ მსხვილ, უსუფთო ქაღალდი. ერთად-ერთი სააგენტო—ინგლისის მაღაზია. იქვეა აუარებელი სხვა-და-სხვა გვარისა კალმები, ყოველის ,,ხელისათვის''—25% იაფად, ვინემ სხვაგან. იქვე: მელანი, ქაღალდი, კანვერტები, რვეულები, ლაქი, კარანდაში, პენალი, კალმები, ბუმაჟნიკები. პორტსიგარები, ალბომები, რამკები, მაგრატლები, სამართებლები, სანთელი, სალესი, ცარაშკები ჭურჭლების საწმედად (ბორაკსი), თეთრეულისათვის, პატარა ხალები იატაკისათვის კლიონკები. ტახტები, სავარძლები, სარკეები, სავარცხლები, ბეჭმენი, ზარები, ზინოკლები რულეტკები, კატერპასები, მზის-საათები, კომპასები, ტერმომეტრები, მეწკვები, ნემსები, მაგნატები, სვისტოკი, პომოჩი, ქამრები, სარტყლები. საყელური, პრობკები, საპრობკეები, კრანები, ფილტრები, შჩოტკები თავის. ტანისამოსის, ცხენის და პატენტიანი მაკინტოშები, კრაგები, საქმიო ქაღალდი კატერ-გლოზეტისათვის და სხვ. და სხვ.

პატარუკი—20 კ. (100—29)

---

### მაზანდა

საკვებავ ხორაგეულებათა, რომელნიც იყიდებიან თბილისის ბაზრებში, დუქნებში და დატარებით 1 თიბათვიდამ 15 თიბათვემდის.

გამომცხვარი პური ხორბლის ფქვილის:

| | | | |
|---|---|---|---|
| პირველის ხარისხის | —1 | გირ. | $5^1/_2$ |
| მეორის | —1 | გ. | 4 კ. |

იმავე ფქვილ. თორნეში გამომცხვარი:

| | | | |
|---|---|---|---|
| პირველის ხარისხის | —1 | გ. | $5^1/_2$ |
| მეორის | —1 | გ. | $4^1/_2$ |

ჯვარის-მამის პური:

| | | |
|---|---|---|
| პირველი ხარის. ლავაში 1 | გ. | $5^1/_2$ |
| მეორის ხარის. ლავაში 1 | გ. | $4^1/_2$ |

ძროხის ხორცი:

| | | | |
|---|---|---|---|
| პირველის ხარისხის | —1 | გ. | 8 კ. |
| მეორის | —1 | გ. | 7 კ. |
| სუკი . . . | —1 | გ. | 15 კ. |
| ცხვრის ხორცი | —1 | გ. | 9 კ. |

---

## რკინის გზა

თბილისიდამ ქუთაისისკენ მიდის
9 საათზედ და 46 წამ. დილით.

თბილისიდამ ხაშურამდინ
2 საათ. და 54 წამ. შუადღის უკან.

თბილისიდამ ბაქოსკენ
1 საათზედ და 1 წამ. ღამისა.

ბაქოდგან თბილისისკენ
9 საათზედ დილისა.

რიონიდგან თბილისისკენ
2 საათზედ და 30 წამ. ნაშუადღევს.

ბათუმიდგან თბილისისკენ
9 საათ. დილისა.

ფოთიდგან თბილისისკენ
9 საათ. და 41 წამ. დილისა.

ფოთიდამ და ბათუმიდამ მომავალი
თბილისში შემოდის
12 საათზედ ღამისა.

ბაქოდამ მომავალი შემოდის
თბილისში
8 საათ. და 46 წამ. დილისა.

*Дозв. цензурою Тифлисъ, 15 Іюня 1883 г.* ექ. ხელაძის სტამბა. (*Типографія Е. Хеладзе.*) გამომცემელი ს. მელიქიშვილი. რედაქტორი ს. მესხი.